კლდე

№ 12

5 აპრილი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო.-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მეოთხე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

6255

გერმანელები სპილენძეულობას აგროვებენ სამხედრო იარაღისთვის.

მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. სახ. განათ. სამინისტროს ახალი კურსი და ჩვენი საჭიროებანი.—**სანდროშვილისა**. 2. ,,ქართლი“ და ,,კახეთი“.—**რ. გ—სი.** 3. მერეჟკოვსკი და ჩაგრულ ერების ბედი რუსეთში. 4. გიფოს გაზეთი.—**ნაცარასი**. 5 უზრუნველ ქართველის დღიურიდან.—**გ ი ახ—ელისა**. 6. გედი (ლექსი).—**ვ. გორგაძისა**. 7. სხვა და სხვა ამბები. 8. საზოგადოებისადმი.—**დ. კასრაძისა**. 9. ძეგლზედ წასაწერი ლექსი.—**მელანიასი**. 10. შემომწირველთა სია.

სახ. განათ. სამინისტ. ახალი კურსი და ჩვენი საჭიროებანი

(იხ ,,კლდე“ მეცხრე და მეათე ნომრები)

წარსულ წერილში ჩვენ შევჩერდით იმაზედ, რომ სწავლა-განათლების საქმეში იჩინა თავი ახალმა მიმართულებამ, გაისმის უკმაყოფილება მიღებულ წესის წინააღმდეგ და არის თითო-ოროლა ცდა ჩვენ ცხოვრებასთან უფრო შეფერებულ და ჩვენთვის გამოსადეგ სასწავლებლის შექმნისა. ეს ცდა და სურვილები, ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ თავის პირველ ნაბიჯს არ გასცილებია, მათ თან არ ახლავს შეგნებული მოქმედება გარკვეულ ეროვნულ პოლიტიკაზე დამყარებული. მაგრამ ჩვენა გვწამს, რომ რამდენადაც წინ წავა ჩვენი ეროვნული შეგნება, იმდენად მეტი თანამოაზრე ეყოლება ამ მიმართულებას და იგი შესძლებს შესცვალოს კლასიკური სწავლა-აღზრდის სისტემა უფრო ცხოველ-მყოფელი სისტემით. დღეს კი იგი მხოლოდ ცხოვრების ამონაკვეთია და შედეგია არა გარკვეული შეგნებისა, არამედ იმ წინააღმდეგობისა, რომლითაც დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს ცხოვრება თავის მოთხოვნილებით, ჩვენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დღევანდელი აუცილებლობა და საჭიროება ერთის მხრივ და გაბატონებული ტიპი სკოლისა, ჩვენთვის მეტად მავნე შედეგებით, მეორეს მხრივ. თუ ჩვენ ცხოვრებას თავის აზრად და შინაარსად დღეს ერის ინდივიდუალური სახის შენახვა, ერის კულტურულ-ეკონომიური ზრდა და განვითარება აქვს — მაშინ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს რა წინააღმდეგობას უწევს ამ დედა აზრს, რა დამზარალებელს და შემაფერხებელს მოვლენას შეადგენს სწავლა-აღზრდის მიღებული სისტემა, რომლის უკუღმართი გავლენა და უარყოფითი სამსახური ეროვნულ ცხოვრებისათვის, ჩვენის აზრით, საკმაოდ აშკარად ვყავით წინა წერილებში. მაშასადამე ბრძოლა ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესობისათვის მოითხოვს უპირველესად ეროვნულ სკოლისათვის ბრძოლას. ამისათვის სრულიად გაუგებარია ჩვენთვის ის სიხარული და აღტაცება, რომლითაც ხვდება ჩვენი პრესსა ისეთ მოვლენებს, როგორიც არიან რომელიმე პროვინციალურ ქალაქის ან დაბის პროგიმნაზიის ,,სრულ უფლებიან გიმნაზიათ“ გარდაქმნა. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ძველი მავნე სისტემის — ახალი სასარგებლო სისტემით შეცვლა დიდს ძალას, ენერგიას და ბრძოლას მოითხოვს ჩვენგან. და მით მეტი ძალის და ენერგიის დახარჯვა მოგვინდება, რამდენადაც მა'ს ძლიერად აქვს გადგმული ფესვი ჩვენ ცხოვრებაში. კლასიკური გიმნაზიები ადვილად არ დაუთმობენ ადგილს პროფესიანულს და ტეხნიკურს სასწავლებლებს, რომელთა მიზანი არა მოხელეთა კადრის, არამედ ჩვენს ეკონომიურს განთავისუფლებისათვის მცოდნე და საჭირო პირთა აღზრდა იქნება. ახალი საჭირო მიმართულება ვერ მიიღებს ისე ჩქარა სასურველს განხორციელებას, რადგან ძველს განსაკუთრებითი პატრონობა აქვს მოპოვებული, მას იცნობს ფართო საზოგადოებრივი მასა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ ძველს სისტემას თვითონ ქართველობაში ჰყავს არა მცირე რიცხოვანი ინტელიგენტ-მოხელეთა კლასი, რომელიც თავის მდგომარეობით არის დაინტერესებული ამგვარ სისტემის არსებობაში.

დროთა უკუღმა ტრიალის წყალობით ჩვენი განათლებული კლასთა საზოგადოებრივი განწყობილება ისეთია, რომ ეს კონსერვატიული შენახვა ძველისა თავის დამცველთ ვიწრო, პირდაპირ დაინტერესებულ ჯგუფის გარეშე და იპოვის მის დასაც-

ველად ხმას ამოაღებინებს უფრო ფართო საზოგადოებას. არ გვინდა ვიწინასწარმეტყველოთ, მაგრამ ეს ასე მოხდება და ასედაც ხდება.

მაშ, რითი აიხსნება ასეთი მაგალითები? ყველას ეხსომება ერთ ჩვენ უფრო გავრცელებულს გაზეთში დაბეჭდილი წერილი, რომელშიაც სწორედ იმ მოსაზრებით, რომ ადგილი თავიანთ კაცისათვის შეენახათ, ამართლებდნენ ყველასაგან დასაგმობს ნაკლს და ყოვლად დიდმნიშვნელოვან საკითხზედ წარმოთქმული იყო ისეთი ველური პედაგოგიური აზრები რომელთაც ლუარსაბ თათქარიძის მარნის დერეფნის აქეთ გასავალი არ უნდა ჰქონოდათ.

და, აი ტრაგიზმიც ჩვენი ცხოვრებისა სწორედ ის გახლავთ, რომ ისედაც კონსერვატიულმა სისტემამ აღზარდა ჩვენში ისეთი კლასი, რომელიც დღეს თავის არსებით და მდგომარეობით თანამგრძნობი ვერ იქნება ეროვნულ მიმართულების და დანიშნულების სკოლისა ამის საუკეთესო დამამტკიცებელი ისიც არის, რომ მიუხედავად მასწავლებელთა მრავალ რიცხოვანებისა—ჩვენში არ არსებობს ქართველ მასწავლებელთა საზოგადება, თუმცა ამაზედ არა ერთხელ ჩამოვარდნილა ლაპარაკი. (რამდენათაც გვახსოვს პირველად „თემში“ იყო ამის შესახებ წერილი ამ ორი, სამი წლის წინეთ) არ არსებობს გარკვეული პედაგოგიური აზრი და ეროვნული პედაგოგიური მიმართულება.

თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენის ცხოვრების არც ერთი მხარე ისე არ განიცდის იმპერიალისტურ: divide et impera.—სრულს და მთლიანს გავლენას, როგორც სწავლა—აღზრდის საქმე. აქ არამც თუ განაწილებულია ერი, არამედ ის ნასწავლი კლასი, რომელიც საღი მესვეური უნდა იყოს ეროვნულ მიმართულებისა სწავლა-აღზრდის საქმეში სრულიად მოწინააღმდეგე ბანაკში სდგას დღეს.

აი, ასეთ მძიმე პირობებში უხდება შექმნა ახალს მიმართულებას და რასაკვირველია შესაფერ კვალს და გავლენასაც განიცდის იგი თავის განხორციელების ისტორიაში. თუ მხედველობაში არ გვექნება კომერციული, ვინაგრადოვის—ტეხნიკური და სხვა პროფესიონალურ ტეხნიკური სასწავლებლები, რომელიც სხვამ დაგვიარსა, ჩვენ დღემდის ვერ შევძელით შ ქმნა არც ერთი საშუალო სასწავლებელისა, რომელიც ჩვენს რეალურს სარგებლობას ემსახურებოდეს და ცხოველ-მყოფელი იყოს დიადი და ერთათ ერთ საღ აზრით—ასწავლიდეს და ზრდიდეს ადამიანს ცხოვრებისათვის. რამდენი ხანია არსებობს ქართული ქალთა სასწავლებელი (გიმნაზიათ წოდებული) და არც ჩვენს გარეშე არც შიგ მყოფებმა არ ვიცით რა ტიპის არის, ან რა ტიპისა იქმნება? შარშან წინ შემუშავებული პროგრამმა არავითარ სახეს არ აძლევს, რადგან იგი გენუხორციელებულია და პედაგოგიურ შეუძლებლობასაც წარმოადგენს. მთავარი თანამედროვე სასწავლებლის ნაკლი, ყველასაგან ცნობილი და თვით მინისტრისაგანაც აღიარებული არის რომ ბავშვი ებღაუჭება მასალას, რომლის დასაძლევად მას ძალა არ შესწევს.

ეს იმ სასწავლებლებში, რომელთაც ერთი განსაზღრული მიმართულება აქვთ, ან ჰუმანიტარული, ან პროფესიონალური და სხვა. ჩვენ კი ქართველურად ვიგვულუხვედ და ერთ, ქონება მოკლებულს სასწავლებელს, სამი თუ ოთხი სხვა და სხვა აზრი დაუსახეთ. სხვა მრავალ მაგალითთა შორის ესეც იმის დამამტკიცებელია, რომ ამ მიმართულებას არა ჰყავს გარკვეული შეხედულების და საჭირო მომზადების მქონე პირნი ჩვენში და მეტათ ძნელ პირობებში უხდება გზის გაკვლევა. მაგრამ, თუ ჩვენს ხალხს მომავალი უწერია—სწორედ ეს მიმართულება არის ცხოველ-მყოფელი და მომავალის მქონე. ისე, როგორც იცვლება ასე წლის ნაწარმოები „დამყოლი“ პოლიტიკა, გამათხსირებელი ჩვენის ცხოვრებისა – ისე უნდა შეიცვალოს კლასიკური სწავლა აღზრდის სისტემა, შემლევი დიდი ენერგიისა და წყურვილისა და სამაგიეროთ მშობი ერისთავის არამც თუ პასიურ და უსარგებლო, არამედ მავნე ელემენტისა. ნაცვლად, ერი უნდა დაადგას ისეთ სწავლა-აღზრდის სისტემას რომელიც აღუზრდის საჭირო ცოდნით აღჭურვილ პირთ, რომ არა მოხელეობას, გადაგვარებას შეალიონ მათ თავისი ძალა და ენერგია, არამედ ერის სიმდიდრის დამუშავებას; მთელის თავისი არსებით დაინტერესდნენ ერით და თავი გამოიდონ მისთვის. უნდა შეიქმნენ პროფესიონალურ-ტეხნიკურ სასწავლებლები, რომელნიც მ-სცემენ მუშაკთ ჩვენ ეკონომიურს ცხოვრებას და ეკონომიურის განთავისუფლებით ერს კულტურულად აამაღლებენ, პოლიტიკურათაც უკეთეს ყოფას მოუპოვებენ.

თუ, არსებობს ჩვენში რაიმე ეროვნული შეგნება და მოძრაობა მან გარკვეული შეხედულობა და განსაზღვრული პოლიტიკაც უნდა აწარმოვოს სწავლა აღზრდის საქმეში. ჩვენ არ გვესმის ის მიმალულება, რომელიც დღემდის ეროვნულ დრო-

შას ებლაუჭება ჩვენში, სხვა და სხვა დაწესებულებებს თავის მონოპოლიათ სთვლის იმ მოსაზრებით, რომ იგი ეროვნული იდეის მატარებელი და ეროვნული ინტერესების დამცველია და ამავე დროს არამც თუ ხმა არ ამოუღია ამ ანორმალურ მოვლენის წინააღმდეგ, არამედ რაღაცა თანაგრძნობითაც ეკიდება მას და დიდათ შეჰხარის პროვინციის კლასიკურ პროგიმნაზიებით და გიმნაზიეებით გამდიდრებას. თუ რუსეთში ცნობილმა მინისტერმა ტოლსტოიმ კლასიკურ აღზრდას, განსაზღრული რეაქციონური აზრი მისცა ჩვენში ისინი პირდაპირ გარუსების, ეროვნულ მოძრაობის ჩუნელებელ იარაღათ იყვნენ ნახმარნი. დღეს რუსეთიც კი უქცევს მათ პირს და მით უმეტეს ჩვ ნც მოვალენი ვართ დავგმოთ დიდი ხნის დასაგმობი და სკოლა დაუქვემდებაროთ ჩვენის ცხოვრების მოთხოვნილებას, ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულებას.

წინა წერილში ნათქვამი გვქონდა, რომ არც ისეთი საწყლები და უიარაღონი ვართ, რომ არაფრის გაკეთება შეგვეძლოს ამ მხრივ. ჩვენი ბიუჯეტი სასწავლო ფულის და საზოგადოებრივ სუბსიდიის სახით სრულს უფლებას და საშუალებას გვაძლევს დავადგეთ ასეთ გზას და შევქმნათ ისეთი სასწავლებლები, სადაც ბატონ—პატრონობაც მეტი გვექნება დარომელნიც ჩვენთვის უფრო სასარგებლო იქნებიან.

ეს არის ჩვენი მორიგი საკითხი, უახლოვესი საჭიროება, საჭიროება, რომლისათვის აუცილებელია: გარკვეული შეგნების განმტკიცება, მაშასადამე ფართო საზოგადოებრივი პროპაგანდა და ყოველნაირი ცდა, რათა ჩვენი დაწესებულებათა დახმარებ სწორედ ამ საჭიროების განსახორციელებლად იყოს მოხმარებული.

სანდროშვილი.

„ქართლი“ და „კახეთი“

II *)

ამხანაგობა „ქართლის“ დანიშნულება ქართლის მეხილეთათვის იმგვარივეა, როგორიც საზოგადოება „კახეთისა“ კახელ მევენახეთათვის, ე. ი. ერთმაც და მეორემაც უნდა შეაერთოს და შეაჯგუფოს საერთო წარმოება გასაღებისათვის ჯერ ვიწრო ჯგუფი ვიწრო რაიონისა და თანდათანი ზრდით მიაღწიოს იმ მდგომარეობას რომ მთელი კახეთის და ქართლის რაიონები მოაქციოს თავიანთ ფარგლებში ასეთი დიდი, საყურადღებო და მომგებიანი საქმის გასაჩარხავად, რასაკვირველია არა კმარა ერთი-ორი კაცის თავგანწირული მუშაობა, არამედ აუცილებლად საჭიროა სოლიდარული მოქმედება ამხანაგობაში შესულ ყოველი წევრისა. საუბედუროდ ჩვენში ნაკლებადა აქვთ წარმოდგენა რომ კოოპერატიულ საქმეს დიდი მომავალიცა აქვს და იგი თითქმის ერთად-ერთი საშუალებაა ბრძოლისა იმ ჩარჩულ წესებთან, რომელნიც აქამდის ჰყვლეფავენ სოფელს და მის ნაწარმოებს გროშის ფასად იგდებენ ხელში, რომ მომხმარებელზედ შემდეგ გაასაღონ მამასისხლად. ამგვარად ზარალშია მწარმოებელიც და მომხმარებელიც. მაგრამ გათვალისწინება ამ მოვლენისა და მისი ბრჭყალებიდან დაღწევა ერთნაირად ადვილი არ არის. იმ აზრის განხორციელების დროს, რომ მწარმოებელმა თვითონ მიაწოდოს თავისი ნაშრომი მომხმარებელს, თვითონაც სრული ფასი აიღოს და მომხმარებელსაც შეუმსუბუქოს ზედმეტი ხარჯი,— ჩვენ გვეღობება წინ მრავალი დაბრკოლება, რომელთა დაძლევა მხოლოდ მაშინა ხდება ადვილი, თუ ამხანაგობისა თუ საზოგადოების წევრნი ნათლად შეიგნებენ კოოპერაციის უდიდეს მნიშვნელობას. ჩარჩი ათას ხერხსა ხმარობს, რასაკვირველია, რომ მწარმოებელი ხელში ჩაიგდოს. ჯერ მოუსხმელ ბაღში, მარტსა, აპრილსა თუ მაისშივე აძლევს ბეს მთელი შემოსავალი ჩემი იყოსო და ამგვარად, გაჭირებულს პატრონს ბაღისას თუ ვენახისას ახარბებს ფულით. ბევრჯელ სამასი-ოთხასი თუმნის შემოსავლიან ბაღს იბევებს ათი-ოცი თუმნით და მთელი შემოსავალი მიაქვს ორმოც-ორმოცდა ათ თუმნად. ჩარჩი კისრულობს დაკრეფასაც, ბაღის მოვლასაც კი, ოღონდ სრული შემოსავალი გაინაღდოს, არ დასტოვოს არც ნაქარევი, არც ჭიანი, არც დასეტყვილი და კარგს ხომ მარცვალსაც არავის დაანებებს ასეთი წესები შეაცდენენ ხოლმე ერთის მხრით გაჭირებულს მემამულეს, ნამეტნავად პატარას, და მეორე მხრით ზარმაცს—საუბედუროდ ეს მართალი არის; ოღონდ კი ერთბაშად თავიდან მოიშოროს თავისი მოსავალი და დაუშვიდებით გროშები ჩაილაგოს, და თუნდა მესამედსაც დასჯერდება.

მაგრამ, როგორც ვიცით, თანდათან ცხოვრება

*) იხ. „კლდე“ № 11.

რთულდება, ძვირდება, ჩვენი თავად-აზნაურობა გაღარიბდა და გლეხობა ხომ მუდამ ასეთი იყო და გაჭირვება კი ყოველთვის უკეთესი მასწავლებელია და მართლაც საიმედო ნიშნები უჩანს ჩვენს ცხოვრებას: შრომის შეყვარება, **შრომ ს გაპატიოსნება.** ჩვენ არ გვინდა გრძელი ექსკურსია გავაკეთოთ ფსიხოლოგიურ ანალიზში, მაგრამ მოკლედ უნდა აღინიშნოს რომ ჩვენი საზოგადოებრივი ატმოსფერა აქამდის უსაქმურობაზედ იყო დანდობილი; რამე საქმე, ვაჭრობა, მეურნეობის ინტენსიურად წარმოება და სხ. და სხ. რაც ცხოვრებას აძლევს სიძლიერეს და მკაფიო სახეს — ყველაფერი ეს აბუჩად აგდებული იყო და სასირცხვილოდაც ითვლებოდა. ამის მიზეზად აუცილებლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მთელი ჩვენი ინტელიგენცია და ეგრედ წოდებული საზოგადოება თავად აზნაურობისაგან არის შემდგარი. იმ თავად-აზნაურობისაგან, რომელსაც ისტორიულ დ მარტოოდენ გამგებლობა და ბატონობა ჰქონდა ხელთა და ხმალი იყო მისი ერთადერთი იარაღი. ბატონურ ფს ხოლოგიის შეცვლა რამდენიმე წლის განმავლობაში შეუძლებელია და პირიქით საკვირველიც არის თუ ასე მოკლე ხანში, როდესაც გაჭირვება დაგვადგა — როგორ მალე ეკიდება თავად აზნაურობიდან გამოსული ინტელიგენცია საქმიანობას.

ამის საბუთი მარტო თეორეტიული მოსაზრება კი არ არის, არამედ ის აურაცხელი სანიმუშო ბაღები, ვენახები, საკრედიტო თუ მომხმარებელი საზოგადოებანი, სამეურნეო თუ სხვა რამ დარგის დაწყებანი არიან.

დაუბრუნდეთ „ქართლს“. ეს ამხანაგობაც სწორედ მაჩვენებელია იმისა თუ როგორ გაიზარდა ერთის მხრით საქმიანობა ჩვენში და მეორეს მხრით შეგნება. მთელი ქართლი მოფენილია ახლა ხილის ბაღებით და იქაური ხილი, განსაკუთრებით კარგი თვისებისა, აკმაყოფილებს არა მარტო აქაურ ბაზარს, არამედ ბაქოს, როსტოვის, ოდესის და სხვასა. არა ერთი შემთხვევა ყოფილა, რომ აქაური ხილი იყიდებოდეს მოსკოვსა და პეტერბურღში, ყირიმის და თურქესტანის ხილის სახელით. ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ჰატარ-პატარა კერძო ამხანაგობანიც, კერძო პირებიც, რომელნიც განსაკუთრებით რუსეთში ისტუმრებენ ხილსა. მაგრამ აქამდის ერთი მწყობრი ორგანიზაცია, რომელიც შეაერთებდა უდიდეს ნაწილს და ნამდვილს საწარმოო-გამსაღებელ კოოპერატივს შეჰქმნიდა — არ ყოფილა. ჩვენის ღრმა რწმენით, ამხანაგობა ,,ქართლი'', რომელსაც უკვე საძირკველი აქვს ჩადგმული, შესძლებს ამ დიდი იდეის განხორციელებას, თუ დროზედ განიკურნა იმ არა სასურველ და უცნაურ წესებისაგან, რომელნიც თან დაჰყვნენ დაბადებასთან ერთად. ეს უცნაური წესები, რაღა თქმა უნდა იმით იყვნენ გამოწვეულნი, რომ სათავეში მდგომნიც და ადგილობრივი წევრნიც — ყველა თავისკენ იწევდა განსაკუთრებით და სოლიდარულ მოქმედებას ნიადაგი ეცლებოდა. ეხლა, როგორც ვიცით, კოლეგიალური მუშაობა სწარმოებს, ძველი ნაკლები ცოტად თუ ბევრად გამოსწორებულია და საქმეს კარგი პირი უჩანს, თუ ხელმძღვანელნი შესძლებენ წევრების კონსოლიდაციას. ამ ძვირფას საქმეში ყველაზედ უძნელესი საკითხი სწორეთ ეს არის და ამას უნდა მიექცეს ყურადღება, თორემ სხვა ყველაფერი მეტად სადა და უბრალოა, მაზედ თავის ტეხა ბევრი არ იქნება საჭირო.

როგორ უნდა მოხერხდეს ეს კონსოლიდაცია? რაღა თქმა უნდა, რომ თავი და თავი — მაგალითია: თვით გამგეობის წევრნი და გამგენი უნდა მაგალითს აჩვენებდნენ წევრებს მუყაითობისა და შრომის მოყვარეობისას, ამხანაგობის წესებისადმი პატივის ცემისას. გამგეობა უნდა მუდამ ბრუნავდეს წევრების ინტერესებისათვის; პრესის, პროპაგანდის თუ პირადი შეხვედრის რა საშუალებით უნდა არწმუნებდეს და აჩვენებდეს კოოპერაციის სარგებლობას, მისი მომავალის სიდიდეს. საზოგადოება ,,კახეთის'' მაგალითზე უნდა ვისწავლოთ, რომ აუცილებლად საჭიროა მჭიდრო ურთიერთობა წევრებსა და გამგეობის შორის, რომ უკანასკნელი არ გადაიქცეს ბიუროკრატიულ დაწესებულებად, საცა მხოლოდ რეგისტრაციას ახდენენ საქმისას და ნაკლებად უწევენ ანგარიშს თვით საქმის გაუმჯობესებასა თუ გაფართოვებას.

წევრებთან დაახლოვება — აი ის უაღრესი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდება სასიკეთო საქმე. ამ მხარეს უნდა მოვლა და გაპოხიერება, თუ გვსურს საქმის განვითარება და გაფურჩქვნა ყოველი წევრი უნდა გრძნობდეს, რომ ის ისეთივე ამხანაგია, როგორც სხვა, ისეთივე პატრონი საქმისა, როგორც დანარჩენები და გამგეობის წევრნიც მხოლოდ მათი ამხანაგები არიან საქმის მწარმოებელნი და არა ბატონები.

ყოველმა წევრმა უნდა მკაფიოდ შეითვისოს ის აზრი, რომ საერთო მაღაზია მაგ., საერთო საქმის მოწყობა - **მისი საკუთარი** საქმეა, მის საკუთრებას შეადგენს და არა ისე, უყურებდეს,

როგორც უცხო დაწესებულებას, რომელთანაც მიაქვს თავისი ნაწარმოები მისაყიდავად. ეს უკანასკნელი ფსიხოლოგიური განწყობილება ჰბადებს მუდამ უკმაყოფილებას, რადგან წევრს მაშინ უნდა მეტის გამორჩენა **სხვ**ა**საგან**, მაშინ როდესაც საკუთარ საქმეში ის უნდა ცდილობდეს მეტი მოგების **ამოღ**ებას **საკუთარი შ**ო**ომის და საქმის** გაუმჯობესებისაგან. ამხანაგობა მას უნდა ისე ჰქონდეს წარმოდგენილი, როგორც თავისი საკუთარი შვილი, რომელიც იმდენად მეტს სარგებლობასა და სიამოვნებას მისცემს, რამდენადაც მეტს სიყვარულსა და აღზრდას შესწირავს. მაგრამ, ყველა ამისათვის საშუალებანი უნდა გამონახოს ხოლმე გამგეობაე, როგორც ამორჩეულებმა და საგანგებოდ ამ საქმეზედ მიჩენილებმა და რასაკვირველია წევრებმაც არ უნდა მიაგდონ ჩვეულებრივად ყველაფერი გამგეობას და თვითონ მარტო თავისი გაინაღდონ. ჩვენი ყოველი საზოგადოება და საქმე სწორედ იმისაგან იჩაგრება, რომ ყველაფერს გამგეობის მიაგდებენ და შემდეგ დახმარების ხელს ან რჩევასაც აღარავინ მიაწვდის ხოლმე.

ჩვენ უდიდეს ყურადღებას იმიტომ ვაქცევთ ამ მეორე მხარეს ამხანაგობისას და არა ვაჭრულს, რომ პირველია დედა აზრიც და მიზანიც და თუ ეს მოხერხდა—მაშინ ვაჭრული მხარის კარგად დაყენება სულ უბრალო საქმეა. ხილი „ქართლის", როგორც პირველ საჭიროების საგანი, ისევე როგორც ღვინო „კახეთისა" თავისთავად გაიკვლევს გზასა, რადგან წინ წაუძღვება თავისივე ღირსება.

მომავალში, თუ ამხანაგობამ იხეირა და წევრები გულმოდგინეთ მოეკიდებიან ამ საქმეს, აუცილებლად საჭირო გახდება ან თვით ამ ამხანაგობის გაფართოვება იმ ზომამდე, რომ სოფლის ყველა ნაწარმოებმა იპოვოს იქ ადგილი და ბაზარი, ან შექმნას პარალელურად სხვა და სხვა ამხანაგობათა სოფლის სხვა ნაწერმოებთა გასასაღებლადაც. ქსელი ასეთი კოოპერატიული ამხანაგობებისა მჭიდროდ უნდა მოეფინოს მთელ ჩვენს სამშობლოს, რომ ბრძოლა არსებობისათვის გაგვიადვილდეს და ჩვენის ორგანიზაციით დავარღვიოთ ის მტრის მედგარი იერიშები, რომელნიც დღეს-დღეისობით უნაყოფოთ არ ეხეთქებიან ჩვენს ზღუდეებს და გვაცლიან პოზიციებს.

ჩვენის აზრით, ახლო მომავალში პრაკტიკულად შესაძლებელი გახდება გაერთიანება ჯერჯერობით „კახეთისა" და „ქართლისა", რადგან მეტად ბევრი. საერთო მხარე აქვთ როგორც ადგილობრივ მწარმოებელთა პირობებში, ისე მით უმეტეს ნაწარმოების გასაღებაში.

რ. გ.

მერეჟკოვსკი და ჩაგრულ ერების ბედი რუსეთში

ამჟამად მხოლოდ რუსეთზე მინდა ვიფიქრო, მხოლოდ რუსეთზე და სხვა არაფერზე, სხვა არავისზე. რუსეთში მყოფთა ერების და არსებულ ენების საკითხი თვით რუსეთის არსებობის საკითხია. მინდა ყველა ამ ერებსა და ენებს ვკითხო: როგორა გსურთ, გინდათ რუსეთთან იყოთ, თუ რუსეთის გარეშე? თუ გარეშე ყოფნა გინდათ, რაღათ მოგვმართამთ რუსებს შველისათვის? თუ გარეშე ყოფნა არ გინდათ, მაშ დაივიწყეთ ამ საშინელ წუთს თქვენი თავი, მხოლოდ რუსეთზე იფიქრეთ, თორემ არ იქნება რუსეთი და არც თქვენ იქნებით; რუსეთის გადარჩენა, თქვენი გადარჩენაა, რუსეთის დაღუპვა თქვენი დაღუპვაა. მინდა ვსთქვა, რომ არ არსებობს არც ებრაელების საკითხი, არც პოლონელების, არც სომხების, არც ქართველების, არც რუსინების და არც სხვებისა, რომ არის მხოლოდ რუსების საკითხი. მინდა ეს ვსთქვა, მაგრამ არ შეიძლება. რუსი საზოგადოების ტრაგედიაც აი სწორეთ ამაში მდგომარეობს, რომ არ შეუძლიან ეხლა ესა სთქვას.

რუსს საზოგადოების იდეალიზმი ერთა საკითხებში უძლურია და ამიტომაც პასუხის გაცემა ვერ შეუძლიან.

ეს ებრაელების საკითხში უფრო მკაფიოდ გამოსჩვივის.

რა უნდათ ჩვენგან ებრაელებს? ზნეობრივი აღშფოთება? ის რომ ვცნათ ანტისემიტიზმის საზიზღრობა? მაგრამ ეს რა ხანია არის კიდეც; ეს აღშფოთება ისეთი ძლიერია და უბრალო, რომ მასზე მშვიდი და გონივრული **ლაპარაკი** შეუძლებელი

ხდება. მხოლოდ ის ღა დაგვრჩომია, რომ ებრაელებთან ერთად ვიყვიროთ, გვიშველეთო და აკი კიდეცა ვყვირით.

მაგრამ მხოლოდ ყვირილი ძალიან ცოტაა. ჩვენ ეს შევიგნეთ და ამიტომაც ვიქანცებით, ძალა გველევა. ძალიან სამძიმოა, ტკივილებსა და სირცხვილს იწვევს. მაგრამ მიუხედავად ამ ტკივილებისა და სირცხვილისა, ჩვენ მაინც ვყვირით, გავიძახით, ვფიცულობთ ვარწმუნებთ ადამიანებს, რომელთაც არ იციან, რომ ორჯერ ორი ოთხია, ებრაელები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ, რომ ებრაელები მტრები, მოღალატეები არ არიან, რომ ებრაელები რუსეთის ალალი მოქალაქენი არიან, რომ ებრაელებს რუსეთი ჩვენზე ნაკლებ არ უყვართ, რომ ანტისემიტიზმი რუსეთის სახეზე გამათახსირებელი ლაქაა.

ამ ყვირილთან ერთად არ შემიძლიან რომ ერთი დამშვიდებული აზრიც არ გამოვთქვა: ,,იუდოფობობა'' და ,,იუდოფილობა'' ერთი ერთმანეთზეა გადაბმული.

სხვა ეროვნების ბრმა უარყოფა სხვა ეროვნების ბრმა დამტკიცებასაც იწვევს, ერთი მოწინააღმდეგის აბსოლუტურ ,,არას'' მუდამ მოპირდაპირის აბსოლუტური ,,ჰო'' მოსდევს.

რას ნიშნავს სიტყვა ,,იუდოფილი'' რუსეთში მაინც? ეს ნიშნავს იმ ადამიანს, რომელიც ებრაელების განსაკუთრებულ მოყვარეთ ითვლება, რომელიც ებრაელებში უფრო მეტს სიმართლესა ჰხედავს, ვიდრე სხვა ერებში. ასეთ იუდოფილებად ვეჩვენებით ჩვენს ნაციონალისტებს, ჭეშმარიტ რუსს ადამიანებს, ჩვენ რუსი ადამიანები, არაჭეშმარიტები.

რა სულ ებრაელებისათვის ზრუნავთო? - გვეუბნებიან ნაციონალისტები.

აბა, როგორ არ ვიზრუნოთ ან ებრაელებზე, ან პოლონელებზე, სომხებზე, ქართველებზე, რუსინებზე და სხვებზე? როცა ჩვენს თვალწინ ვისმეს შეურაცხყოფას აყენებენ, ადამიანობა მოითხოვს გვერდი არ ავუქციოთ, უნდა ვუშველოთ ან მაინც გვიშველეთო, ვიყვიროთ იმასთან ერთად ვისაც შეურაცხყოფას აყენებენ. აი ამას ვაკეთებთ და ვაი ჩვენ, თუ ასე არ მოვიქცევით მხოლოდ იმიტომ რომ ჭეშმარიტი რუსები გავხდეთ, ადამიანები აღარ ვიქნებით.

ჩვენს გარშემო ეროვნულ საკითხების მთელი ულრანი ტყე აღიმართა და რუსეთის ცა ჩვენს თვალს მოაფარა. რუსეთში არსებულის ყველა ენების ხმამ რუსული ენა დაფარა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თუმცა არც ჩვენ გვაყრია კარგი, მაგრამ ისინი მაინც ჩვენზე უარეს დღეში არიან. თუმცა ჩვენც ნაკლებ არა გვტკივა, მაგრამ იმათ მაინც ჩვენზე უფრო ძალიან სტკივათ. მათი გულისათვის ჩვენ ჩვენი თავი უნდა დავივიწყოთ.

ამიტომაც არის, რომ ნაციონალისტებს ვეუბნებით:

— დადექით, ნუ ავიწროებთ სხვა ერებს, თუ გინდათ რომ უფლება გვქონდეს ჩვენს თავს რუსები ვუწოდოთ, თუ გინდათ რომ შევძლოთ ჩვენი ეროვნული ადამიანური სახის გამოჩენა და არა მხეცურისა.

ავიღოთ მაგალითად გინდ აი ეს ებრაელების საკითხი.

ამ საკითხს არამც თუ ეროვნული, სარწმუნოებრივი მხარეცა აქვს. იუდიანობა და ქრისტიანობა ორი პოლიუსია, რომელთა შორის როგორც ღრმა მიმზიდველობის ძალა არსებობს ისე ღრმა ჩამომაშორებელი ძალა. ქრისტიანობა იუდიანობიდან გამოვიდა, ახალი აღთქმა ძველი აღთქმიდან. მოციქული პავლე ყველაზე მეტად ებრძოდა ებრაელებს, მაგრამ მზად იყო თვით ქრისტესაც ჩამოჰშორებოდა, თუკი ეს სარგებლობას მოუტანდა მის ძმებს, ე. ი. ებრაელობას.

მიმზიდველობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ უკუგდებაზე კი არა. აბა როგორ შეიძლება ვეკამათოთ იმას, ვისაც ხმის ამოღების ნება არა აქვს? ებრაელების უუფლებობას ქრისტიანების დუმილი უპირისპირდება, ებრაელების გარეშე ძალ დატანებას — ჩვენი შინაგანი ძალდატანება.

— რა მიზეზით აეშალა ტკივილები ებრაელებს საკითხს სწორეთ ამ ომის დროსა? იმ მიზეზით, რა მიზეზითაც აეშალა ტკივილები ყველა ეროვნულ საკითხს,

ამ ომს გამანთავისუფლებელის სახელი ვუწოდეთ. ეს ომი ჩვენ შორეულების გასანთავისუფლებლად დავიწყეთ. შორეულები გვიყვარს. რათ გვეჯავრება მახლობლები? რუსეთის გარეთ გვიყვარს, რუსეთის შიგნით კი გვეჯავრება. ყველა გვეცოდება, ებრაელებს კი შეუბრალებლად ვეპყრობით.

თუ ასე მოვიქცევით კიდევ, აღარ დაგვიჯერებენ, ასე გვეტყვიან ერები:

— თქვენ მხოლოდ შორიდან შეგიძლიანთ სიყვარული. თქვენ სტყუით.

ჩვენ ხომ იმედს ჩვენს სამართლიანობის ძალაზე ვამყარებდით. ჩვენ გვინდოდა ძალა ჩვენი სამართლიანობით დაგვემარცხებინა თუ კიდე ეს სურვი-

ინგლისის ჯარის წარმომადგენელნი უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბში.

ლი გვაქვს, მაშ ნულარ ვიცრუებთ, ნულარ დავა-სუსტებთ სიცრუით ჩვენ სამართლიანობას, ჩვენ გამარჯვების მოსტანს ძალას.

გერმანელები გაიძახიან: მსოფლიოს დასაპყრობათ ვომობთ, მსოფლიოზე უფლობისათვის ვომობთო, და სწორედ ისე იქცევიან რასაც ამბობენ. ჩვენ თუ ვიძახით, მშვიდობიანობისადვის ვომობთო, მსოფლიოს განთავისუფლებისათვის ვომობთო, უნდა ვასრულებდეთ კიდეც.

რუსულ ენაზე მსოფლიო და მშვიდობიანობა ენით ერთნაირათ გამოითქმის. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ მსოფლიო (міръ) წერტილიანი ,,ინით'' (і) იწერება და მშვიდობიანობა (миръ) კი უბრალო ,,ინით'' (и). გერმანელები ,ინს'' წერტილს უსვამენ. ნუ თუ განსხვავება მარტო იმაში უნდა იყოს რომ ჩვენ სიტყვა მშვიდობიანობა უწერტილო ,,ინით'' გამოვთქვათ ხოლმე. ჩვენ მარტო სიტყვით კი არ უნდა განვსხვავდებოდეთ მტრისაგან, არამედ გულითაც. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ერებმა გაიგონ რის გულისათვისაც ვომობთ, მსოფლიოზე უფლობისათვის, თუ მსოფლიოს განთავისუფლებისათვის, მაშ მოდით ეს ებრაელებიდან დავიწყოთ.

მაგრამ დეე, შევიწროებული ერებიც ნუ დაივიწყებენ, რომ თავისუფლებას მარტო თავისუფალ რუსის ხალხის წყალობით მოიპოვებენ.

დეე ებრაელებში ნუ დაივიწყებენ, ხომ ებრაელების საკითხი რუსის საკითხიც არის.

გიგოს გაზეთი

თბილისში ორშაბათ დილა ისე არ გათენდება, რომ ახალი ჭორი არ გამოცხვეს რამე და ეს ჭორი, უეჭველად უნდა „თემის" რედაქციაში იზილებოდეს. გუნდებს თვით ბ-ნი გრიგოლი ამოიღებს ხოლმე და „თემის" ფურცლებს ცხელ ცხელი ლაგაშებივით აბნევს ქვეყანაზედა.

ვინ არის პატრონი.

რას დაგიდევს „თემი", თუ მისი ცხელ ცხელი ამბავი ყოველთვის ჭორია, ოღონდ კი ყველას დაასწროს, ყველაზედ ადრე მან ამცნოს ქვეყანას ვისიმე სიკვდილი ან ნათლობა, ყველაზედ ადრე გამოიტიროს სახელოვანი თუ უცნობი მწერალი, ყველაზედ ადრე აუგოს ანდერძი ან აღმოაჩინოს „კიდევ ერთი გენიოსი„ და სხვა და სხვა.

ასე ერთ დილას იჯდა ბ-ნი გრიგოლი და რაღაცას ყური მოჰკრა, არც აცია, არც აცხელა და გამოაცხო: „მაისიდან თბილისში გამოვა ახალი ქართული ყოველდღიური გაზეთი. მონაწილეობას იღებენ: მიხ. მაჩაბელი, პართ. გოთუა, კონსტ. თუმანიშვილი და ახალგაზრდა მწერალნი „კლდის" მიმართულებისა."

რამდენჯერ გვითხოვნია „თემისათვის“ თავი დაგვანებოს მაგრამ მაინც წავა-წამოვა და გადაიჩეხ ბა ჩვენ „კლდეზედ“.

ნაცარ.

——

P. S. **ახალი ამბავი.** როგორც გავიგეთ ახლო მომავალში თბილისში გამოდის ახალი რუსული გაზეთი. გამომცემელად იქნება ცნობილი ალექსანდრე ჯაბადარი, თანამშრომლად არა ნაკლებ ცნობილი სარქის კაკაბაძე, ჟილბლაზად—ცნობილი ალექსანდრე ყანჩაველი, ახალ ამბების მცხობელად—ცნობილი გიგო დიასამიძ. როგორც ხედავთ შეყრილა თბილი, მაგრამ... კომპანია. რედაქტორად ასახელებენ ცნობილ დუბროვსკის, რომელიც უეჭველია მოჰყოლია მათში... по недоразумѣнію.

ნ—ა.

უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(კვირიდან კვირამდე)

საფრანგეთის ჯარის წარმომადგენელები უმაღლეს მთავარსარდლის შტაბში.

ლითს ჩვენა ვხედავთ, თუნდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ცხოვრებიდანაც: იქაურ ერთ მეშვიდე კლასის მოწაფეთაგანს იმდენად პროგრესიულად განუვითარებია... გრძნობა-აზრ-ოვნების სიფაქიზე თუ თუ არა, მუშტი მაინც, რომ აღარ დაუნდვია თვისივე სათნიანი, ყველასაგან პატივცემული, აღმზრდელი — მასწავლებელიც კი. და ამით საისტორიოთ უკვდავ უყვია თავისი თავი. ამიტომაც, რა გასაკვირველია, თუ აღნიშნული ჰეროსტატე — მოწაფე მიუწვევია, დიდი სასყიდლის გაღებით, პეტოგრადის ზოოლოგიურ ბაღს...

—

ზოოლოგიურ ბაღების ტიპებს რომ, ღვთის წინაშე, საკმაოდ იძლევა ჩვენი უბადრუკი ცხოვრება, ამაში დარწმუნდება ყველა ის, ვინც კი დაჰკვირვებია, სხვათაშორის, ჩვენებურ კლუბებში მოსიარულეთ: მხედველობაში რომ არ მიიღოთ მუშტი-კრივი, რამაც უკვე მოქალაქობრივი უფლება მიიღო ზოგიერთ ამ „კულტურულ დაწესებულებებში“, — თქვენ იქ მრავლად შეხვდებით ისეთს, საპატიო ხანში შესულ მანდილოსანთ, რომელთაც, თუ რამ ოჯახში ნივთი ჰქონია დასაგირავებელი, მზრუნველობით ჩაუბარებია ლომბარდისათვის და, ღამის ორ საათამდე, დაჟინებით ჩაჰკირკიტებს ციფრებიან ქაღალდს და ამაოდ, სულის სიმწარით, ელის, ხუთი ლობითს ერთ რიგზე განწკრივებით, მოიპოვოს ცათა სასუფეველი თუ არა, ამ ქვეყნიურად სახარჯავი გროშები მაინც.

—

გროშების „ბრავლად“ შეძენის სურვილი ჰქონიათ აგრედვე კახეთის რკინის გზას მესვეურთაც, რომელთაც აღნიშნული გზა გაუყვანიათ: იოლად სახელდახელოთ, ქართველურის უზრუნველობით: რელსები დაუწყვიათ, ზოგან ფხვიერ ადგილზე და ზოგან ჰაერშიაც კი ჰკიდიანო. — ეტყობა იმ მოსაზრებით უხელმძღვანელებიათ, რომ უფიქრიათ: მოგზაურები, ერთხელაც არის, ქებურიასი არ იყოს, თანამედროვე ტეხნიკის განვითარებასთან ერთად, ფრენას ისწავლიან და მგზავრობის დროს, სადაც ადგილ-ადგილ გზა გაფუჭებული და სახიფათო იქნება, — იქ გადაფრინდებიანო.., რაც შეეხება საქონელ-ბარგის გადაზიდვას, ვინაიდან მათი ფრენა ძნელი მოსალოდნელია და ამასთანავე დიდ „ხლაფორთსაც“ მოითხოვს, — დაუწესებიათ იმათ გადასატან ხარჯათ, ბევრით იმაზედ ზედმეტი ფასი, რასაც აქამდე ჩვენებური მეურნეები ახდევინებდნენ. ამას გარდა, იმ გზის მოძრაობის უფროსს ბ. პ. მაჭავარიანს, მეტის

—

და რომ ჩვენი ცხოვრება მართლაც ჯეროვანის პროგრესით წინ მიიწევს, ამის უტყუარ მაგა-



ინგლისელთა ჯავშნოსნები დარდანელის სრუტესთან.

ხვეწნა მუდარით, ხმა და თვით ცხოვრების ინტერესიც კი დაჰკარგვია, მაგრამ მაინც ვერაფერს გამხდარა და ვერ დაუნშნინებია საჭირო რიცხვი გზაზე მოსამსახურეთა; ამიტომაც ამ გზაზე, ერთი სადგურიდან რომ გადის მატარებელი, თან მიჰყვება სადგურის უფროსი, ტელეგრაფის მოხელე, „კანტორჩიკი", მეისრე და სხ. მეორე სადგურზე დასახვედრად და უმალ გასაცილებლად. . ერთი სიტყვით ამ გზაზე ნამდვილი „ნაციონალური კომერციაა" გამეფებული!..

—

ყველა ამისდა მიუხედავად, მაინც გულს ნუ გაიტეხ მკითხველო: თუმცა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჯეროვანი სიცხოველე აკლია, მაგრამ, გალლილეის თქმისა არ იყოს: „მაინც ბრუნავს!", —მაინც აშკარადა სჩანს, რომ ჩვენმა ხალხმაც საღათას ძილს თავი დაახწია და ქვეყანასა და ცხოვრებას თამამად უძახის: „მეც ერთ კაცად უნდა მიწამოო!"... ნათქვამის საილუსტრაციოთ, მე აქ უმალ მინდა გავიხსენო ჩვენი მეფე-მგოსნის—აკაკის გარდაცვალება, რომელმაც თვისი სიკვდილითაც, ახალი სიცოცხლე შვა!.. მე მინდა, აგრეთვე, გავიხსენო სიტყვის ჯადოსან ივ. გომართელის მუსიკალური სიტყვა-სიმღერა... მე მინდა ამ გახსენებით ერთხელ კიდევ დავსტკბე და... მაგრამ ჩუ! მგონი რედაქტორიც მოდის... მაშ ნახვამდის, მკითხველო!..

გ—ი ახ—ელი.

ᲒᲔᲓᲘ

მახსოვს, ტბის პირად ვოცნებობდით დღის დასასრულსა,
ერთ-ურთს სიამით ვუამბობდით წარსულის ზღაპარს ..
ჩვენ წინ მინდორზე ყვავილები გადაშლილიყო
და ლერწმის რტოებს ცელქი სიო ეელებოდა გარს...
კრცელ ოკეანეთ გადაშლილი ცის დასავალი
ვით სხივთ კოცონი ალისფერად იღებებოდა.,
ლურჯს ნისლის ზოლი მოხვეოდა თოვლიან მწვერვალს,
საღამო იყო., არეს მწუხრი ეფინებოდა..
ოჰ, ვით სიცოცხლით და ვითარის იდუმალებით
იყო აღსავსე იმ საღამოს ირგვლივ ყოველი..
თითქო ბუნების მინაზებულ სახეში კრთოდა
ვით უკვდავება ციურ მადლთა უხვად მთოველი!..
უცბად სადღაც შორს ტბის სიღრმეში ამღერდა გედი.
ამღერდა გედი და გაისმა მწუხარე ხმები..—
იქნებ სიცოცხლეს სამუდამოთ ესალმებოდა,—

იქნებ სიკვდილმა შეახო მას მსახვრალი ფრთები!,,
ნელი შრიალით აქვითინდენ ლერწმის რტოები, —
ზვი-თნი შეირხნენ და ატოკდა ტბა მიეერცხილი.,
ახ! ვის შეჰშურდა ნორჩი გედის ლაღი სიცოცხლე, —
ნეტა ვინ ჩასცა სასიკვდილო მკერდში მახვილი?..
ჩუმი, წყნარი და სევდიანი იყო საღამო..
ღამის ბურუსში ინთქმებოდა შორი ტყე ველი,,
ვარსკვლავთა ხომლი ციმციმებდენ ცის კამარაზე, —
იყო სიჩუმე და დუმილი დაურღვეველი!

ვ. გორგაძე.



სხვა და სხვა ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

☆ **უიაფერერის დაზიანება.** გერმანიის წყალქვეშა ნავმა ძლიერ დაუზიანა ინგლისელთა უზარმაზარი გემი „უიაფერერი“, რომელსაც 9,500 ნოტა წყალწყვა აქვს. გემი ბუქსირებით, როგორც იყო კვანსტოუნში, მიიყვანეს.

☆ **გერმანელები ავსტრიაში.** შვეიცარიის გაზეთების სიტყვით გერმანელებმა დიდძალი ჯარი გადაიყვანეს ავსტრო-უნგრეთში. ცხადია, სამხედრო მოქმედების ცენტრი მალე კარპატები გახდება.

☆ **რუმინია და გერმანია.** როგორც ირკვევა, თურმე რუმინიას დიდძალი ბური გაუტანია რუსეთიდან გერმანიისთვის. რუმინიის სახელმწიფოს თანხამ ამ ვაჭრობის გამო 242 მილ. ფრანკით იმატა.

☆ **დარდანელს ამაგრებენ.** მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა იერიში მიიტანეს დარდანელის სრუტის გასარღვევად, ყველანი დარწმუნდნენ, რომ სრუტის ზღვით ადება ეოგლად შეუძლებელია თუ დესანტი არ მოახდინეს და ხმელეთით არ დაეხმარნენო. ეს ოსმალებმაც შეიგნეს და წინასწარ ემზადებიან კიდეც. სასოსისა და დისდანელის შუა მათ მრავალი სიმაგრეები აუგიათ, რომ დესანტს ხელი შეუშალონ.

☆ **„მეჯიდიეს დალუპვა“.** ადესაზე თავდასხმის დროს დაიდუბა ოსმალთა კრეისერი ,,მეჯიდიე''. უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობდნენ ოსმალეთის სიდატაკეზე, შიმშილობაზე, ხოლო გემების შესახებ ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დაზიანებული არიან, მას თან ქვა-ნახშირი არა აქვთო, ან და თუ აქვთ, ისიც მეტად დაბალი ხარისხისა, რაც მალქნების აფეთქებსო. მაგრამ... სინამდვილემ სხვა აღმოაჩინა: ოსმალთა გემები თამამად დაესხნენ ქალაქს და ქვა-ნახშირიც დაღუბულ ,,მეჯიდიეზე'' ძვირფას ინტრანტიდან შესდგებოდა... (ბ. ვ.)

საზოგადოებისადმი

ამ ახლო წარსულში ქართ. კულტ. მოუკ. საზოგადოებამ დამავალა აკაკის ვრცელი ბიოგრაფიის შედგენა. კარგა ხნის მოფიქრების შემდეგ ვიკისრე ეს მძიმე საქმე სისრულეში მოვიყვანო, მაგრამ ერთის პირობით კი: თუ თვით საზოგადოება შემიწყობს ხელს. მოგეხსენებათ, თუ ჩვენი ინტელიგენციის ზრდისა, განვითარებისა თუ ჩვენი სოციალურ ცხოვრების ისტორია მეცხრამეტე საუკ. რა მძიმე ნაბიჯით მიდის შესწავლის მხრით. დღესაც, როდესაც ამგვარი ჟურნალ-გაზეთობა გვაქვს და ინტელიგენტი ძალები მრავალად შეგვეძინენ, ჩვენ მხოლოდ მომზადების ხანაში ვართ და ველით ძლიერ პიროვნების გამოჩენას, რომელიც შესძლებს ამ გარდამავალ ხანის შესწავლას, გაცხრილვას და მეცნიერების ახალი მეთოდით გაშუქებას. თქმა არ უნდა, აკაკის ბიოგრაფიაც და მის თხზულებათა სწორი გარჩევაც მაშინ მოხდება. მანამდე კი ჩვენ შეგვიძლიან მასალების კლასიფიკაცია მოვახდინოთ. ეს კი არც ისე ადვილია. აკაკის ბიოგრაფია, მის თხზულებათა ქრონოლოგიურად გარჩევა ეს მთელი მეცხრამეტე საუკ. მეორე ნახევრის ადწერილობა იქნება, ვინაიდგან აკაკი და ხსენებული ხანა ერთ-ურთის ეკვივალენტები არიან. ყველა ეს მოითხოვს დიდ დროს და მეტად ფრთხილ მუშაობას. ამიტომ მივმართავ ყველას, დამეხმარონ ამ მძიმე საქმეში. აკაკის თანამედრო-

ვეთა ეოვეული რჩევა, მიწერ-მოწერა, სიბუთები დიდის მადლობით იქნება მიღებული და შემდეგ დანაბრიდი გაზეთემა ქართ. ეთნოგრ. საზოგადოებას, ან და იქ, სადაც ავტორნი მიმითითებენ. ეოველგვარი მასალა გამოიგზავნება „კლდის“ რედაქციაში ჩემს სახელზე, გაბანთ შესახვევი, № 3.

პატივისცემით **დავით კასრაძე**.

P. S. უმორჩილესად ვთხოვ ქართულ ჟურნალ-გაზეთობას და „ნოვ. ზაკ“-ს ეს წერილი უცვლელად გადაბეჭდონ.

დ. კ.

ძეგლზედ წასაწერი „ლექსი“

(პატარა ამბავი)

I

ამ რამდენიმე კვირის წინად შემთხვევით მოგიხდა ერთ ოჯახში გადა ვალიერება ძველის ძველი ქაღალდებისა. ვიმედოვნებდი მეპოვნა მათ შორის რაიმე შესანიშნავი სიგელ გუჯრები. იმედი არ გამიცრუვდა. მართალია, სიგელ-გუჯრები ვერ აღმოვაჩინე,—შეიძლება ვინმე სხვამ ჩემზედ წინ ამოკრიბა ისტორიისათვის გამოსადეგი და საჭირო სიგელ-გუჯრები, რაც უეჭველად უნდა ყოფილიყო ამ ძველადვე განთქმული და შესანიშნავი ოჯახის ნაშთ ქაღალდებში—მაგრამ რაც მე აღმოვაჩინე ამ ქაღალდებში იმას თვისი მნიშვნელობით ვერა სიგელ-გუჯრები ვერ შეედრება. და თუ არ ჩაუვარდათ ხელში წინანდელ მკვლევართ ჩემგნით აღმოჩენილი იშვიათი სიბუთი, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მათი ჩხრეკის დროს არ ერივა ქაღალდებში, რადგანაც შემდეგი დროის ნაწარმოები და ნაშთია.

ჭეშმარიტად დიდი დანაკლისი იქნებოდა სამშობლო ისტორიისათვის, თუ ბედნიერი შემთხვევით არ აღმოვაჩენდი ამ გარეგნობით პაწაწა, ხოლო შინაარსით დიდ მნიშვნელოვან ქაღალდს და გამოუმზეველი დარჩებოდა იგი.

აი ეს ისტორიული ნაშთი:

„სანამ ვიყავ ვიქეიფე დრო ვატარე:
რაც მებადა, სულ გავყიდე და შევჭამე.
მოვკვდი და ჯავრი თან წამყვა,
რომ სასაფლაოს გაყიდვაც ვერ მოვასწარ“...

და შემდეგ ამისა გაგრძელება:

„ჩემო მემკვიდრენო, დიდი და სადავიდარაბო ანდერძით მე თქვენ თავს არ შეგაწყენთ. მოკლეა ჩემი ანდერძი და ეტიკეტად უნდა შეასრულოთ იგი. ჩემს ძეგლს, რომლის დადგმასაც ჩემს საფლავზედ მე თქვენ ვალადა გდებთ „ეს ლექსი“ წააწერეთ უცვლელად და უნაკლულოდ; და მის ქვეშ აღნიშნეთ ჩემი ვინაობა და წელნი, თვენი და რიცხვნი ჩემი დაბადებისა და გარდაცვალებისა“.

აი ეს არის მთელი შინაარსი ჩემგნით ნაპოვნი ქაღალდისა.

განსვენებული ანდერძის დამწერი, როგორც პირველ სტრიქონებიდგან ვტყობულობთ, ცდიდა მთელი წარწერა ლექსად გამოეყვანა და „ლექსადაც“ უწოდებს ანდერძში თვის ნაწარმოებს. მოლექსეობის ნიჭი კი ეტყობა, როგორც ამაში ყველა დარწმუნდება. მაგრამ შეიძლება სწორედ მაშინ მოუახლოვდნენ სიკვდილის წუთნი, როცა დაიწყო „ლექსის“ წერა და ვერ მოასწრო მეორე ნახევარიც „ლექსისა“ შეემუშავებინა და დაემთავრებინა პოეტურად. ალბად შეეშინდა, რომ ის, რაც პროზად უნდა დაეწერა, არ დარჩომოდა დაუწერავი.

არ ვიცი ვინ როგორ შეხედავს ჩემს მოსაზრებას; ხოლო ჩემი შეურყეველი მოსაზრებით კი ძეგლზედ წასაწერის შემთხზველს ეტყობა უეჭველი ზედ გავლენა შემდეგი თქმულებისა სახალხო გმირზედ:

„სანამ ვიყავ, მდევი ვხოცე,
ჩემზედ მტერი არ ვახარე;
ჯავრი ჩამყვა ბაყ-ბაყ მდევის,—
ვწუხარ, ვერსად მოვახელე“.

არამც თუ უსაფუძვლოა ასეთი ჩემი დასკვნა. მართალია განსვენებული საუკეთესო კერძო სასწავლებელში იყო პირველად ნასწავლი, კარგად მომზადებულიც შევიდა გემნაზიაში და მკოთხე კლასამდის მიაღწია კიდეც, მაგრამ იგი სრულიად არ ეტანებოდა არც წიგნების და არც გაზეთების კითხვას, როგორც გემნაზიაში ყოფნის დროს, ისე გემნაზიიდგან გამოსვლის შემდეგ—ეგ სულ მოცლილი უსაქმური ადამიანის ხელობა არისო. ძრიელ ხშირადაც გამოსთქვამდა ხოლმე წუხილს მაზედ, რომ შვიდი-რვა წელიწადი მოსცდა და ტყუილ-უბრალოდ და კარგა ამოდენა დრო სწავლაში ხოლო როცა მოცლილი იყო, ე. ი. როცა არა ქეიფობდა ან მოსასვენებლად ემზადებოდა, მისი ერთგული ნინია შეაქცევდა მას ზღაპრებით, მომეტებულ ნაწილად

კი იმ სახალხო გმირზედ, ვინც სიკვდილის შემდეგაც კი ემუქრებოდა ბაყ-ბაყ მდევს. როცა მოზღაპრე იწყობდა: „სანამ ვიყავ, მდევი ვხოცე“ და სხვა. განსვენებული, უკვე თვლემაში წასული, უცბად გააბრიალებდა გმირულს 'იძლიერით და სისატიკით ანთებულ თვალებს. ვაუკაცურად გაიქნევდა მარჯვენა მუშტს და წამოიწახებდა „ვუ“...-ს

II

ნათქვამია — გარდაცვალებულზედ ან ნურაფერს იტყვი, ან თუ იტყვი, კარგის მეტს ცუდს ნუ იტყვიო. მეც ვასრულებ ამ თქმულებას და მინდა განვუზიარო სხვებსაც მხოლოდ ის, რაც რომ კარგი ვიცი განსვენებულის შესახებ. ეს კი არის, რომ თუნდაც გულს მოდგინედ დავარკვიოთ მთელი სიცოცხლე განსვენებულისა, ნარკვევში არაფერი მოჰყვება ისეთი, რაც ჩირქსა სცხებდეს მისს სახელს. თორემ სხვა მრავალი მისი ნაცნობთაგანნიც დამემოწმებიან ამაში. რა დიდი ხნის მიცვალებული იგი არის—გუშინ არ იყო, რომ ისევ ჩვენ შორის ტრიალებდა!

განსვენებულის სახელისა და გვარის აღნიშვნა, როცა იგი ამ ქვეყნად აღარ არსებობს და თვითონაც არ დაასახელა ანდერძში თვისი ვინაობა, მეტად მიმაჩნია. არსებობენ მისი მოქმედებანი და შედეგნი ამ მოქმედებისანი, რაც უფრო ძვირფასია ჩვენთვის და რაც იქნებიან კიდეც მარადის ცოცხალნი და სამშობლო ისტორიას შესძენენ არა ერთსა და ორს ძვირფას ფურცლებს.

კიდევ კარგი, რომ დროზედ შეიგნო განსვენებულმა თვისი მოვალეობა და არ მოუხდა უფრო მეტი დროს ტყუილ-უბრალოდ დაკარგვა.

„არა, ჩემი ამოდენა მამულ-დედული აქ უპატრონოდ და მოუვლელად ეგდო, მე კი იქ მამ დგომოდნენ და მაზეპირებდნენ; თუ რა ხალხი ცხოვრობს ამერიკაში, ინდოეთში, აფრიკაში; რომელ ხემწიფეს ვისთან, რა დროს და რაზედ მოუვიდა ჩხუბი და შფოთი და სხვა ამისთანები. რა სულელი უნდა ვყოფილიყავი, რომ ამაებზედ მეტეხნა თავი. თუ ჩემთვის სიკეთე უნდოდათ, გამაგებინებდნენ ის უკეთურები, თუ რამდენი მჭონდა ან—მთა, ან ბარი—ან ტყე, ან მინდორი; როგორ მომევლო მამულისათვის, როგორ მომეხმარებინა ყმა და მამული, ან როგორ გავმკლავებოდი მომიჯნავეებს და მოძმეებს—აი ეს რომ ესწავლებინათ, ბაშუსტა, მადლობელიც ვიქნებოდი და აღარც იმოდენა დრო დამეკარგებოდა უსარგებლოდ. ერთიც ვნახოთ თვითონ მე ჩემთავად არ გამომეჩინა უნარი და გამჭრიახობა ასე წესიერად რომ მოვაგვარე ყოველი ზერი“ – ხშირად იმეორებდა ხოლმე განსვენებული ამ სიტყვებს სიკვდილის წუთამდე.

განსვენებულმა—რაკი მობრუნდა შინ სასწავლებლიდამ—თვისი მოქმედება ნაყმევებიდამ დაიწყო. მართალია ბატონ – ყმობა კანონიერად მოსპობილი იყო და იყვნენ მხოლოდ დროებით ვალდებულნი გლეხნი, მაგრამ მემკვიდრეობითი თვისებანი მებატონისა შეუდარებელი სახით იყვნენ განსვენებულში განვითარებულნი. ამისთვის მისი მოპყრობა დამოკიდებულება ნაყმევებთან ბევრად არ აფრით განირჩეოდა კანონიერ ბატონყმობის დროიდგან. დარბევა—დაწიოკება განსვენებულის ნაყმევებისა ნადელის ფულების აკრეფაში ახლაც ისევე იყო მსვლელობაში, როგორც ბატონ-ყმობის დროს რათ უყვარდა ისე თავისი „ნინია მოურავი“, თუ არა ერთგულობისა და თავ გამოდებისათვის ნადელების აკრების დროს. განა სხვა ვინმე ნინიას გარდა მოიგონებდა ასეთ უებარ საშუალებას: „ხვალ შუადღემდის ყველამ უნდა ჩამაბაროთ ნადელების ფული უკლებლივაო—გამოუცხადა ნინიამ ნაყმევებს. შესრულდა ვადა. არავინ სჩანდა. მაშინ ნინიამ დაიწყო რბევა თვით უღარიბესი ნაყმევიდგან, შევიდა ნაყმევის ქოხში! ბევრი ეძება ეპოვნა რაიმე ნივთი. მაგრამ ვერაფერი იპოვნა გარდა პატარა ყურიანი ქვაბისა, რომელიც საკიდელზედ იყო ჩამოკიდებული და იხარშებოდა შიგ ლობიო ნარევი ხორბალი—ამას უნდა გაეწვინა პურის მაგივრობა შიმშილისაგან ნამტირალევ ნაყმევის ბავშვებისათვის. ნინიამ ბევრი აღარ იყოყმანა, ჩამაიღო საკიდლიდამ ქვაბი, მოაქცია პირქვე მინაზედ ხორბალი, ქვაბი კი გადასცა მხლებლებს დუქანში დასაგირავებლად წაეღოთ. მოჰყვა აქედგან და ყველა ნაყმევის სახლიდგან, ვინც ფული არ ჩააბარა, რაც რამ კი ხელ ჩასაკიდი იპოვნა,—ან სპილენძეულობა, ან ქვეშაგები, ან ტანისამოსი სულ სოფლის დუქანში მოაქცია და დაუგირავა ნედუქნეს. ნინიას ამნაირმა მოხერხებამ თავზარი დასცათ ნაყმევებს. თითქმის გველის ხვრელში გაძვრნენ ყველანი, რომ საჩქაროდ ეშოვნათ ნადელის ფულებიცა და გირავნობის გამოსასყიდიც. ეს უკანასკნელი ნინიას გასამრჯელს შეადგენდა.

როცა განსვენებულმა მიიღო მთლიანად და უნაკლულოდ ნადელის ფულები, ნიშნად მადლობისა და ქებისა შუბლზედ აკოცა ნინიას. ეს იყო და ეს, ნაყმევებმა შეიტყეს, რომ ნინიასთან ხუმ-

რობა არ გამოდგებოდა. მათ მტკიცეთ შეიგნეს თავისი მოვალეობა და ნინიასაც ძრიელ იშვიათად უხდებოდა მიემართნა გამოცდილ საშუალებისათვის— ისიც მაშინ, როცა უკიდურ გარემოებაში ჩავარდებოდა რომელიმე ნაყმევი.

III

ფულებით ჯიბე გატენილი და დიდი ამალის თანხლებით ყელმოღერებული გაუდგა განსვენებული სამაზრო ქალაქის გზას. მხოლოდ, ცოტა არ იყოს, გულმა ფანცქალი დაუწყო, როცა მიუახლოვდა ქალაქს. არც გასაკვირველი იყო მისი გულის აფანცქალება, რადგანაც პირველად ემზადებოდა სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას და სიფრთხილე საჭირო იყო.

„თუ პირველადვე არ ვისახელე თავი—გამოუტყდა განსვენებული თავის ერთგულ ნინიას—და წავიბორძიკე, მთელ სიცოცხლეში შერცხვენილი და თავმოჭრილი დავრჩებიო“.

სხვა უმიზნო როდი იფიქრებდა თავისი ღირსების დაცვაზედ. მოუსაზრებლად და აჩქარებით შეუდგებოდა საქმეს და შესაძლებელი იყო სასტიკად დამარცხებულიყო პირველსავე გამოგზავნაზედ სამოქმედო ასპარეზზედ. ბორძიკის ასაცილებლად წინადვე შეუდგა განსვენებული თავდარიგს. ჯერ არც კი ჩაეყო ჯიბეში ხელი ფულების ამოსაღებად, რომ მთელი წლის შემოსავალი მინდვრებისა და ვენახებისა მიჰყიდა ერთ-ერთ მოვაჭრეთაგან, რომელნიც ხელს უმართავდნენ ამისთანა „გაჭირებულ ხალხს“. როცა ეს ფულებიც მიუმატა უკვე ჯიბეში მყოფ ნადელების ფულს, მხოლოდ მაშინ შეუდგა მოქმედებას.

მეზურნე გევდოს თვისი დასით სიზრმადაც არ ენახა ის, რაც განსვენებულმა ცხადად აჩვენა. როცა გევდოს მიაკრავდა შუბლზედ ოცდა ხუთ-ხუთიან მანეთიანებს, დანარჩენ მისს ამხანაგებსაც არა სტოვებდა უყურადღებოდ—მათ შუბლებსაც დაამშვენებდა ხოლმე წითელ-წითელი ქაღალდებით და თანაც დაატანდა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიო, უთქვამს ჩვენს ძვირფას პოეტსაო“. არა ვიცი ს'ვა რამეც ჰქონდა შესწავლილი „ძვირფასი პოეტის“ ნაწარმოებიდგან, თუ მარტო ეს სიტჩვები გაეგონა შემთხვევით სადმე.

ასე გამარჯვებით დაეშხიანად გადასდგა განსვენებულმა პირველი ნაბიჯი სამოქმედო ასპარეზზედ.

ეს იყო და ეს. განსვენებულს არ დაუყრია არასოდეს ფარ-ხმალი; არ დაუტოვებია იგი ასპარეზი თვით სიკვდილის დღემდე. მისი ჯიბე ყოველთვის ღია იყო და როგორც გულუხვად ჩადიოდა შიგ ფულები, ისე დაუზოგველადვე ამოდიოდა იქიდგან.

განსვენებულს უფრო უადვილდებოდა დაუზოგველად ამოღება ფულებისა ჯიბიდგან, ვიდრე გულუხვად ჩაწყობა მათი ჯიბეში; ცოტა არ იყოს უძნელდებოდა ეს: რადგანაც ნადელის ფულების აკრება და მომავალი მოსავლის გაყიდვა ერთხელ მეტად არ შეიძლებოდა წელიწადში. ეს გარემოება ხანდისხან ძლიერ შეაფიქრიანებდა ხოლმე განსვენებულს. მაგრამ განგებამ შეიბრალა იგი, თუ სხვა რამ შემთხვევის ბრალი იყო, მრავალი მუშტარი მოაწყდა მას აუარებელ მამულ-დედულსა. „როგორც თაფლს ფუტკარი, ისე დამეხვია მამულის მუშტარიო“—იკვეხოდა ხოლმე განსვენებული თავის სწორ-ამხანაგებში.

თუ როგორ ფასებში ან როგორის წარმოებით ჰყიდდა განსვენებული—ამას შევიტყობთ მისი საუბრიდგან ერთ გლეხთან—მისსავე ნაყმევთან.

— ბატონო, ეგ როგორ გვიყავი, რომ მთელი ჩვენი გასადევარი და მინდორი, რომლითაც სულს ვიბრუნებდით და ვცხოვრობდით მამა-პაპიდგან, ახლა სხვას მიჰყიდე და გაუბოძე.

— რაცა სჯამეთ აქამდის ის კი არ გეყოთ, რომ შემდეგშიაც არ მეჭმევინა თქვენთვის!

— რა ვჭამეთ, ბატონო, მუქთად ხომ არ გვიხმარია, ფასს ღალას გაძლევდით ყველაფერში.

— სად თქვენგან მოცემული და მწვადივით შეჭმული ღალა და სად ერთიანად აღებული მამულის ფასი!

— ჩვენ კი არ გაძლევდით ერთიან ფასს? ბარემ ჩვენთვის მოგეყიდნა, თუ გაყიდვა იყო!

— რა ფასს მაძლევდით მერე თქვენ? რასაც თქვენ დღიურში მაძლევდით, ოთხი იმდენი სხვამ მომცა და დასაბმელი გიჟი არ ვიქნებოდი მაშინ, რომ მე ამაზედ უარი მეთქვა და თქვენთვის მომეყიდნა ნაკლებ ფასში!

— ჩვენ სხვა ვართ და სხვა სხვაა. ჩვენ შენი ნაყმევი და მეზობლები ვართ და შენ კი ვიღაც გადმოცვენილ ურიასა და უტიას გადუყარე ის ძვირფასი შენი მამული და ჩვენი საკუთვნო მინდორ-გასადევარი.

— ჩემი მეზობელიცა და მოკეთეც ის არის, ვინც მე მომეტებული ფული მომცა და მასარგებლა.

5 586 1915 /2

— აბა მაშ ჩვენ რაღა უნდა ვქნათ. თითო მტკაველა ნადელების ანაბარას რომ დაგვტოვეთ —ხომ ამოვიხრჩენით შიგ!

— მაგაზედაც მე ვიდარდო? რა ჩემი საქმეა ამოიხრჩობით, თუ იცოცხლებთ!.. თუ არა და ვისი ბრალია? თქვენ რომ წინადვე გეფიქრნათ, ცოტაოდენი მოგემატებინათ და ფასიც ნაღდათ ხელში ჩაგებარებინათ, სანამ ამისთნა ხელსაყრელი მუშტარი გამომიჩნდებოდა, თქვენი ხელიდამ არ წავიდოდა ეგ თქვენი გასადევარი.

IV

გასასვენეაული მიეჩვია ერთიანი ფულების აღებას მამულების გაყიდვაში და, როცა მთელი თვისი მამულები დააბინავა სასურველად,- ჩემზედ უკეთესად მოუვლიანო, ამობდა ხოლმე იგი ხშირად—ნადელებში აღებული ფულების რაოდენობა აღარ აკმაყოფილებდა მას. ამისთვის განიზრახა და კიდევაც შეუდგა საქმეს ერთგულად, რათა ნაყმევთ გამოესყიდათ ნადელები სახელმწიფო ხაზეინის საშუალებით. საქმის დაჩქარებისათვის იგი გადასახლდა ტფილისში და იწყო ცხოვრება ერთ-ერთ სასტუმროში. მართლაც საქმე ძრიელ ჩქარა მოაგვარა და მალე მიიღო ხაზინგდამ ფულები ერთიანად და ბლომად. გაუსწორდა სასტუმროს პატრონს დანახარჯებში ხოლო, რადგანაც მთელი დანახარჯები ვერ დაჰფარა აღებულმა ფულებმა, იძულებული შეიქმნა განსვენებული სამოცი თუმნის ვექსილიც მიეცა სასტუმროს პატრონისათვის.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბევრი მოულოდნელი ხარჯებიც კი დაატყდა თავს. „ყმაწვილო, ილაჯი წაიღეს ამ საქველმოქმედო მთხოვრებმა“:— ჩივოდა ხოლმე ხშირად განსვენებული—„ეს სკოლას შესწირეო, ეს იმას, ეს ამას; ანგარიში არა აქვს, იმოდენა მთხოვნებლები მოდიან და თავს მაბეზრებენ“.

მართლაც ბლომად გამოსცანცლეს განსვენებულს საქველმოქმედო საქმეებზედ. მი'ის ანგარიშით სულ გაცემული ჰქონდა ამ საქეებზედ ცამეტი მანეთი და თოთხმეტი კაპეიკი. უფრო მეტის გაცემა მოუხდებოდა, რომ ერთი ქველმოქმედი „მთხოვარა“ არ ეჯრინა მცხეთობას. განსვენებული ქეიფობდა ჩვეულებისამებრ მცხეთის ტაძრი გალავანში მცხეთობას, როცა მასთან მივიდა ერთი მორჩილი ყულაბით და სთხოვა ტაძრის განსაახლებლად შეეწირა რამე. ღვთის წყალობა მოგეცათ, იმან კუდით ქვა ასროლინა მორჩილს: „შენ ვინ მოგცა ნება და უფლება, რომ აქ, ეკლესიის გარეთ მოდიხარ და ხალხს აწუხებ და ჰღარსლავ! როცა საყდარში შემოვალ, მაშინ მომიტანე ყულაბა და თუ მსურს, მაშინ შევწირავ, როცა მინდა. თუ არა და აქ მე ვქეიფობ და შენ კი ქეიფს მიშლიო“.

მელანია.

(დასასრული იქნება).

აჭარელებისთვის შოგროვილი ფული:

დეპუტატთა საკრებულოში თავად-აზნაურთა კერძო თათბირის დროს აჭარელთა სასარგებლოდ შეკრებილი იქმნა რვა თუმანი, შემომწირველთა სია დაიბეჭდება მორიგ ნომერში.

——

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი ჟურნალის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ჩემს ძვირფას სტუმრებს, რომელთაც კეთილ ინებეს და აჭარელების სასარგებლოდ გამოიღეს თავთავიანთი წვლილი:

ამბროსი შანშიაშვილი	50	კაპ.
ვას. კაპანაძე	1	მან.
ილიკო ბაკურაძე	1	„
ვერა და ბარ. ამბრიაშვილები	1	„
სამ. დადიანი	2	„
გიორგი სალარიძე	2	„
დავ. დავითაშვილი	4	„
იოსებ გედევანიშვილი	5	„
მ. ადამაშვილი	5	„
ვას. მკერვალიშვილი	10	„
ნიკ. ნიორაძე	1	„
რაჟდ. ჯაფარიძე	1	„
კობახიძე	1	„
დ. კასრაძე	1	„
გ. გორდეზიანი	2	„
სულ	37 მ.	50 კ.

პატივისცემით **დ. კასრაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **რ. გაბაშვილი**

ნება-დართულია სამხედრო ცენზურისაგან. ელ.-მბ. სტ. არ. მ. კერესელიძისა, გაბ. შეს. № 1.